URKUND

Urkund Analysis Result

Analysed Document:	Paper Final PDF.pdf (D61690864)
Submitted:	12/27/2019 7:35:00 AM
Submitted By:	${Xml.Encode(Model.Document.Submitter.Email)}
Significance:	0 %

Sources included in the report:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048017

Instances where selected sources appear:

3

1 ხელნაწერის უფლებით სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი გიორგი შარვაშიძე სტრუქტურული რეფორმები უმაღლეს განათლებაში და საქართველოს კერძო უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ტენდენციები დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სპეციალობა - 13.0.01 განათლებისა და პედაგოგიკის თეორია და ისტორია სამეცნიერო კონსულტანტი პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. კალაძე თბილისი - 2003

2 შინაარსი შესავალი I თავი. უმაღლესი განათლების განვითარების თავისებურებები 1.1.უმაღლესი განათლების განვითარების ზოგადი თავისებურებები 1.2.საკანონმდებლო ინიციატივები საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში II თავი. კერძო უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ტენდენციები 2.1 პოლიტიკური ძვრები უმაღლეს განათლებაში 2.2. კერძო სექტორის ზრდა და გაფართოება 2.3 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვისებები 2.4 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება და მართვა დასკვნა ბიბლიოგრაფია აბრევიატურების სია

3 შესავალი კვლევის აქტუალობა. საქართველოში სადღეისოდ მიმდინარე დემოკრატიული პროცესები არსებითი ხასიათის ცვლილებებს ემყარება პოლიტიკის, სოციალური ცხოვრებისა და ეკონომიკის სფეროებში. ცვლილებათა მნიშვნელობითა და მასშტაბით არც განათლების დარგია გამონაკლისი. განათლების სისტემა სპეციფიურიცაა ამ თვალსაზრისით, რადგანაც იგი ერთი მხრივ განიცდის თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების გავლენას და, მეორე მხრივ, თავადაა ამ ცვლილებების გაგრძელება-განვითარების უმთავრესი გენერატორი. საქართველოს განათლების სისტემაში სარეფორმო გარდაქმნები გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია უნიტარული, უკიდურესად ცენტრალიზებული სისტემიდან, სადაც განათლებისადმი დაკვეთა მთლიანად სახელმწიფოს მიერ განისაზღვრებოდა, დემოკრატიულ სიტემაზე გადასვლა, რომელშიც ადრინდელთან შედარებით განუზომლად მაღალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის ხარისხი. მიუხედავად უდავო პოზიტიური ცვლილებებისა განათლების სისტემაში საზოგადოდ და საკუთრივ უმაღლესი განათლების სექტორში, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტს შეადგენს, არის მნიშვნელოვანი პრობლემები. მდგომარეობას ამწვავებს ის, რომ დღესდღეობით შრომის ბაზარს, დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და უმაღლესი განათლების სისტემას შორის ურთიერთობა კონფლიქტური და ხანდახან გაურკვეველია. სრულყოფასა და თანამედროვე რეალობებთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს განათლების დარგის საკანონმდებლო ბაზა. უმაღლესი განათლების შესახებ ახალმა კანონმდებლობამ არსებულ გაურკვევლობაში სიცხადე უნდა შეიტანოს: ამისათვის მან უნდა განსაზღვროს სახელმწიფოსა და უმაღლესი განათლების სისტემის მმართველთა და თანამშრომელთა პასუხისმგებლობა. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევები დაკავშირებულია ახალ ვითარებაში სახელმწიფოსა და შრომის ბაზარს შორის როლების განაწილებასთან. შრომის ბაზარი მნიშვნელოვანია, რადგანაც ის სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის კონკურენციას ქმნის. იგი რესურსების მობილიზაციასაც ემსახურება. სახელმწიფო, თავის მხრივ, განსაზღვრავს იმ წესებს, რომლის მიხედვითაც ბაზარმა უნდა იმუშაოს ქვეყნის